ევროკავშირი საქართველოსთვის

CPR PROJECT
Care Prevention Rights

BEMONI PUBLIC UNION

უსაფრთხო საკლუბო ცხოვრება

ფსიქოაქტიური ნივთიერებების ერთდროული მოხმარება

ექსტაზი (მდმა) და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებები

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

მომზადებულია საზოგადოებრივ გაერთიანება „ბემონში“

ექსტაზი+სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებები

ექსტაზის (მდმა) კოკაინთან ან ამფეტამინებთან ერთად მოხმარება იწვევს სხეულის გადახურებისა და გაუწყლოების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაზიანების, ინსულტისა და გულყრების განვითარების რისკის გაზრდას.

ექსტაზისა და ცენტრალური ნერვული სისტემის დეპრესანტების (GHB, საძილე და დამამშვიდებელი საშუალებები) ერთდროულმა მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს სუნთქვის დათრგუნვა, ზედოზირება და სიკვდილიც კი.

ექსტაზისა და მარიხუანას კომბინაცია იწვევს მეხსიერების დაქვეითებას, სააზროვნო პროცესების დამუხრუჭებას; ექსტაზის თრობიდან გამოსვლის პერიოდში ძლიერდება დეპრესიული გუნებ-განწყობა, ხოლო მარიხუანას თრობიდან გამოსვლა აძლიერებს შფოთვას. ამ ორი პრეპარატის კომბინაცია კიდევ უფრო ამძაფრებს აღნიშნულ ეფექტებს.

ექსტაზის ტაბლეტებში ხშირად არის დამატებული სხვადასხვა ნივთიერება. ფენტანილთან შერეულმა მდმა-ამ შეიძლება მნიშვნელოვნად დათრგუნოს სასუნთქი სისტემა, გამოიწვიოს ზედოზირება და სიკვდილი.